ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ელდარ შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა“

აუდიტორული ანგარიში

(01.04.2021 _ 01.01.2023)

ეგზავნება:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
მერს

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური

მარტი 2023 წელი

სარჩევი

I. შესავალი 3

1. ზოგადი ნაწილი 3

2. შესამოწმებელ პერიოდში სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები 3

II. ძირითადი რისკები 5

III. ძირითადი აუდიტორული მიგნებები 5

IV. დეტალური ინფორმაცია მიგნებების შესახებ 5

V. რეკომენდაციები 9

პასუხისმგებელი პირები 10

ხელმოწერები 10

I. შესავალი

1. ზოგადი ნაწილი

შიდა აუდიტის საფუძველი -- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 27 დეკემბრის №22.222236110 ბრძანება.

შიდა აუდიტის ობიექტი -- ა.(ა).ი.პ. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ელდარ შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა".

აუდიტის პერიოდი -- 2021 წლის 1 აპრილიდან 2023 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის თემა -- ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი

აუდიტის ჩატარების ვადა -- 2023 წლის იანვარი-მარტი

შიდა აუდიტის ამოცანა:

1. ა.(ა).ი.პ. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ელდარ შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლის" (შემდგომში სკოლა) ფუნქციებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, საოფისე, სახელფასო, საპრემიო და სხვა ხარჯების ორგანიზების განხორციელების შედეგად გაწეული მუშაობის შესწავლა.
2. საანგარიშო პერიოდში სკოლის მატერიალურ ფასეულობებზე ფულადი სახსრების ხარჯვის, დაფინანსების წყაროების, ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული სუბსიდიების და საკუთარი შემოსავლების სახით მიღებული თანხების გამოყენების მიზნობრიობა, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების შემოწმება.
3. სკოლის უძრავი და მოძღავი ქონების შესახებ გადაწყვეტილების მომზადებისა და განკარგულებების შესწავლა.
4. სკოლის მიერ კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული აქტების, მათ შორის წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესწავლა.

2. შესამოწმებელ პერიოდში ა.(ა).ი.პ. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ელდარ შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლის" საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ელდარ შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა" (შემდგომში სკოლა), არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის დამფუძნებელია ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი (ს/კ 230092137) და შექმნილია განუსაზღვრელი ვადით. სკოლის მოქმედი წესდება დამტკიცებულია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2021 წლის 23 თებერვალს ბრძანებით №22.22210547. სკოლის დირექტორი 2014 წლის 28 თებერვლიდან არის სერგო მელქაძე (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 28 თებერვლის N140 ბრძანება), მთ. ბუღალტერი – ნაირა სულაბერიძე (სკოლის 2007 წლის 16 იანვრის N7 ბრძანება). სკოლა დარეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში 2009 წლის 13 თებერვალს.

სკოლას წესდებით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელებისათვის უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით, თანახმად ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 21

სექტემბრის №18 სხდომის ოქმისა და გამგებლის 2009 წლის 21 სექტემბრის №621 ბრძანებისა, გადაეცა ქ. ზესტაფონში, ბიბილაშვილის ქუჩა №7–ში მდებარე შენობა–ნაგებობა სასარგებლო ფართით 2392 კვ.მ, საბალანსო ღირებულებით 80184 ლარი, ასევე არასასოფლო–სამეურნეო მიწის ნაკვეთი 4223 კვ.მ. განახლებული 2021 წლის 15 აპრილის საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ სკოლას აწერია 3301 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (საჯარო რეესტრის განაცხადები 882016639597 და 882021291211).

სკოლის შენობის საერთო ფართიდან - 2392 კვ.მ-დან სხვადასხვა დროს უსასყიდლო უზურფრუქტის წესით გადაცემული აქვს: ა.(ა).ი.პ. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას“- 633,52 კვ.მ, ა.(ა).ი.პ. ზესტაფონის სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტსკოლას - 634,04 კვ.მ და ა.(ა).ი.პ. „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის-ცენტრს“- 33,58 კვ.მ ფართი.

სკოლას დღეის მდგომარეობით აწერია 1090,86 კვ.მ შენობა-ნაგებობის ფართი (2392-633,52-634,04-33,58=1090,86).

სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საკრებულოსა და მერიის დებულებებისა და საკუთარი წესდების საფუძველზე. სკოლის საქმიანობა, მიზნებიდან გამომდინარე, ვრცელდება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

სკოლას გააჩნია იურიდიული პირის ყველა ატრიბუტი: დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი და ხაზინის ანგარიშები.

სკოლაზე კონტროლს ანხორციელებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

სკოლას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი.

სკოლის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ზესტაფონი, ბიბილაშვილის ქ. N7.

სკოლის დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი და საკუთარი შემოსავლები.

ხელოვნების სკოლის ძირითადი მიზნები და ამოცანები:

1. ხელოვნების სკოლის მიზნებია:

ა) მოსწავლეთა მიერ შესაბამისი სახელოვნებო- საგანმანათლებლო პროგრამების ათვისება;

ბ) პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარება, ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნა;

2. ხელოვნების სკოლის ამოცანებია:

ა) აზიაროს მოსწავლეები ხელოვნების საფუძვლებს;

ბ) გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები;

გ) იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე;

დ) მოსწავლეთა კონკურსებში, ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეები.

II. ძირითადი რისკები

წლიური ხარჯთაღრიცხვების არასწორად დაგეგმვამ და არათანაბრად ხარჯვამ, შესაძლებელია გამოიწვიოს სკოლის სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის შეფერხება, რაც უარყოფითად იმოქმედებს სკოლის მიზნების მიღწევაზე.

ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის განხორციელების დროს დაშვებულმა შეცდომებმა, შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების დადგენაზე, გამოუყენებელი აქტივების გამოვლენაზე, არაფინანსური აქტივების ექსპლუატაციის წესების დაცვაზე, ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალობის დადგენაზე. ასევე, აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტიური ნაშთებისა და ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემების შედარების სისწორეზე.

მოქმედი კანონმდებლობის გაუთვალისწინებლად განხორციელებულმა საბუღალტრო დოკუმენტების წარმოებამ, არაფინანსური აქტივების შენახვასა და ხარჯვაზე დოკუმენტების გაფორმების სისწორის დაუცველობამ, შესაძლებელია გამოიწვიოს სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის შედეგების შესახებ მცდარი ინფორმაციის ჩამოყალიბება.

სკოლის მიერ, საკუთარი თანხების ხარჯვის არასწორმა დაგეგმვამ, შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნობრიობასა და კანონიერებაზე.

III. ძირითადი აუდიტორული მიგნებები

ბოლო აუდიტორული შემოწმება სკოლაში ჩატარებულია 2021 წლის აპრილში ჩვენი სამსახურის მიერ, რომელმაც მოიცვა 2019, 2020 წლები მთლიანად და 2021 წლის 1 აპრილამდე პერიოდი. წინა აუდიტორულ ანგარიშში ასახულ ერთერთ მიგნებაზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია წარედგინა 2019, 2020 და 2021 წლების მიწის, ქონების და საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციები შემოსავლების სამსახურში. 2021 წლის აგვისტოში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ზემოთაღნიშნული რეკომენდაცია კვლავ შეუსრულებელი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე აუდიტის პროცესშიც ეს რეკომენდაცია დღემდე შეუსრულებელია.

რაც შეეხება საანგარიშო პერიოდის ძირითად აუდიტორულ მიგნებებს;

- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას არაა სრულყოფილად მოკვლეული არსებული ბაზრის მონაცემები.
- დარღვეულია სახელმწიფო ხელშეკრულებებზე ნომრების მინიჭების სიზუსტე.
- არაა წარდგენილი შემოსავლების სამსახურში 2021 და 2022 წლების საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციები.
- არაა გადახდილი ბიუჯეტში 2021 და 2022 წლების მიწისა და ქონების გადასახადი, ასევე არც შესაბამისი დეკლარაციებია წარდგენილი შემოსავლების სამსახურში.
- ბავშვების სწავლის საფასურის აკრება ნაღდი ფულის სახით და ბანკში შეტანა ხდება სკოლის მასწავლებლების მიერ.

IV. დეტალური ინფორმაცია მიგნებების შესახებ

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მალხაზ კურცხალიას და მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მიხეილ ბრეგვაძის მიერ, საქართველოს კანონის

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის“, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის“, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულებისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 27 დეკემბრის №22.222236110 ბრძანების საფუძველზე, სკოლაში ჩატარდა 01.04.2021-დან 01.01.2023 წლამდე პერიოდის გეგმიური ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტორულ შემოწმებას ესწრებოდნენ და სათანადო ახსნა-განმარტებებს იძლეოდნენ სკოლის დირექტორი სერგო მელქაძე და მთ. ბუღალტერი ნაირა სულაბერიძე. წარმოდგენილი საბუღალტრო ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტების შემოწმების საფუძველზე დადგენილია შემდეგი:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ელდარ შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა“-ში ფუნქციებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ორგანიზაციის საშტატო ნუსხის, პირადი საქმეებისა და შიდასამართლებრივი აქტების წარმოების აუდიტი.

სკოლას როგორც 2021, ისე 2022 წელს საშტატო განრიგი არ შეცვლია და ერიცხება 32 მასწავლებლისა და 7,5 ტექნიკური პერსონალის შტატი, თუმცა შეიცვალა ამ ორი კატეგორიის მუშაკთა დაფინანსების წესები, კერძოდ: 2021 წელს მასწავლებლების ხელფასი ფინანსდებოდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხოლო ტექპერსონალის ხელფასები-სკოლის საკუთარი შემოსავლებიდან. 2022 წლიდან ორივე კატეგორიის მუშაკთა ხელფასები ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან ფინანსდება სკოლის ოფისის, ტრანსპორტის, მივლინებისა და სხვა მიმდინარე ხარჯები. საკუთარი შემოსავლები იგეგმება მოსწავლეთა მშობლების შენატანების მიხედვით. სკოლას საკრებულოს შესაბამისი განკარგულებით (საკრებულოს 2007 წლის 12 დეკემბრის N46 განკარგულება) მინიჭებული აქვს უფლება გადაახდევინოს თითოეული ბავშვის სწავლის ქირა მათ მშობლებს 15 ლარის ოდენობით თვეში (ექვსწლედის მოსწავლე), რაც 9 თვეზე გაანგარიშებით შეადგენს 135 ლარს, ხოლო ცხრაწლედის შემთხვევაში - 20 ლარი თვეში, რაც 9 თვეზე გაანგარიშებით შეადგენს 180 ლარს.

სწავლის საფასურის გადახდისაგან როგორც სოციალურად დაუცველი ოჯახის წარმომადგენლები 2021 წელს გათავისუფლებული იყო 18 მოსწავლე, ხოლო 2022 წელს 23 მოსწავლე. ყველა მათგანზე გაცემულია შესაბამისი ცნობები სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ. მათი სწავლის საფასურს აფინანსებს ადგილობრივი ბიუჯეტი.

აღსანიშნავია, რომ საკმაოდ ხშირად ბავშვების სწავლის ქირის აკრებას და შემდგომში ბანკში შეტანას, ნაცვლად ბავშვების მშობლებისა, აწარმოებენ სკოლის მასწავლებლები, რაც არ შეესაბამება ამჟამად მოქმედ კანონმდებლობას ნაღდი ფულით ანგარიშსწორების შესახებ (საქ. ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანება). აღნიშნული პრაქტიკის აღკვეთის მიზნით აუდიტის მიერ გაიცა სათანადო მითითებები.

2022-2023 სასწავლო წლისათვის სკოლაში სწავლობს 187 ბავშვი. ისინი გადანაწილებულნი არიან სკოლაში არსებულ 10 სასწავლო განყოფილებაში შემდეგი ოდენობით: ფორტეპიანო 110, კლასიკური ვოკალი 18, ვიოლინო 5, საესტრადო სიმღერა 13, კლასიკური გიტარა 7, სამოყვარულო გიტარა 8, ხალხური საკრავები 7, სამეჯლისო ცეკვები 4, ქართულ-ხალხური ცეკვა 7, აერობიკა 8.

სკოლაში 2022 წლის ბოლოსათვის მუშაობდა 31 მასწავლებელი და 9 ტექნიკური მუშაკი 7,5 შტატზე (1 შტატზე მუშაობს 2 დარაჯი, 0,5 შტატზე - ინსტრუმენტების ამწყობი, 1 შტატი

ვაკანტურია). დირექტორსა და სასწავლო ნაწილის გამგეს შეთავსებული აქვთ პედაგოგის თითო შტატი. აქედან გამომდინარე, შრომის ანაზღაურება ეწერება 38 ადამიანს (31-2+9). გარდა ამისა, სკოლაში მუშაობს ერთი დროებით ხელშეკრულებით აყვანილი პირი, რომლის წლიური ხელფასის ფონდი შეადგენს 2760 ლარს ანუ 230 ლარს თვეში.

სკოლაში თანამშრომელთა პირად საქმეებს, ბრძანებების წიგნს და სატაბელო სისტემას, ასევე ბავშვთა კონტიგენტის პირად საქმეებს აწარმოებს სპეციალისტი საქმის წარმოების საკითხებში. თანამშრომელთა და ბავშვთა კონტიგენტის პირადი საქმეები მოწესრიგებულია.

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, შესყიდვების პროცედურების წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების, შესყიდვებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების მომზადების აუდიტი

სკოლა დარეგისტრირებულია სახელწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. სკოლა შესყიდვების განხორციელებას ახდენდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანების მეშვეობით.

2021 წელში სკოლაში განხორციელებულია 5 გამარტივებული წესით შესყიდვა საერთო თანხით 830,44 ლარი (დანართი N1). 2021 წლის შესყიდვებში დარღვევა-ნაკლოვანებები არ ფიქსირდება.

2022 წელში განხორციელდა 11 სახელმწიფო შესყიდვა საერთო თანხით 36033,13 ლარი, მათ შორის; 1-ელექტრონული ტენდერის მეშვეობით თანხით 30000 ლარი და 10-გამარტივებული შესყიდვის გზით 6033,13 ლარი. რაც შეეხება 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვებს, გამოვლენილია შემდეგი სახის ხარვეზები:

- N5 ხელშეკრულება რესტორნით მომსახურება გაფორმებულია შპს გიორგისთან (ს/კ 436256365) თანხით 1800 ლარი, ხელშეკრულების გაფორმებამდე შესყიდვისწინა პროცედურებისათვის ბაზრის კვლევები სკოლას არ აქვს ჩატარებული.
- ხელშეკრულების აღრიცხვიანობის კუთხით დაფიქსირდა ხარვეზი; კერძოდ არსებობს ორი N5 ხელშეკრულება.
- N7 ხელშეკრულება, შეძენილია ახალი როიალი, მომწოდებელი შპს „მიფასი“, თანხა 30000 ლარი, მოკვლევები ჩატარებულია მეორად როიალებზე, ნაცვლად ახალი როიალებისა. (დანართი N2).

შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვის, ძირითადი აქტივების და მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციის შესაბამისობის აუდიტი

2021 წელს სკოლის პირველადი დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმა განისაზღვრა 135390 ლარით. წლის განმავლობაში ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 16690 ლარით და დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 152080 ლარი. ბიუჯეტის გაზრდა გამოიწვია შრომის ანაზღაურების ფონდის ზრდამ 7290 ლარით და საახალწლო ჯილდო-პრემიის გაცემამ 9400 ლარის ოდენობით. საბიუჯეტო სახსრების ათვისებამ 150556 ლარი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ ოფისის მუხლში ხარჯი 410 ლარი გაწეულია სკოლის საკუთარი სახსრებიდან მაშინ, როცა ბიუჯეტის გეგმით გათვალისწინებულ იგივე ოფისის მუხლში აუთვისებელი დარჩა 1053 ლარი (დანართი N3, N4).

2021 წელს სკოლას საკუთარი შემოსავლები თავდაპირველად დაეგეგმა 22680 ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში სკოლას გაეზარდა საკუთარი შემოსავლების წლიური გეგმა და გახდა 24156 ლარი, რომლის შესრულებამ 20264 ლარი შეადგინა (დანართი N4). მონაცემები საკუთარი შემოსავლების ნაშთების, ახალი შემოსავლების, გაწეული ხარჯებისა და ახალი ნაშთების შესახებ მოცემულია დანართში N5.

2022 წელს სკოლას დამტკიცებული საბიუჯეტო გეგმა განესაზღვრა 177100 ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში მოხდენილია ბიუჯეტის როგორც აბსოლუტური, ასევე შიდა მუხლობრივი ცვლილებები და დაზუსტებულმა გეგმამ 206205 ლარი შეადგინა, რომლის ათვისების მაჩვენებელია 205185 (დანართი N6). როგორც დანართიდან ჩანს, გეგმიური მაჩვენებლის ცვლილების უდიდესი წილი მოდის თანამდებობრივი სარგოს ზრდაზე, რომელიც თავის მხრივ გამოიწვია ხელფასების დაფინანსების წყაროს ცვლილებამ, კერძოდ: 2022 წლიდან სკოლის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ხელფასის დაფინანსება საკუთარი სახსრების ნაცვლად ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

2022 წელს საკუთარი შემოსავლები დაიგეგმა 23676 ლარით. წლის განმავლობაში მომხდარია გეგმის როგორც აბსოლუტური, ასევე შიდამუხლობრივი ცვლილებები და საბოლოო სახით დაზუსტებულმა გეგმამ 53676 ლარი შეადგინა. როგორც გაირკვა, გეგმიური მაჩვენებლის ასეთი მკვეთრი გაზრდის მიზეზია სკოლის მიერ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საგრანტო კონკურსში გამარჯვება და 30000 ლარიანი გრანტის მოპოვება, რომლითაც შეძენილი იქნა ახალი აკუსტიკური როიალი. საბოლოო ჯამში საკუთარი შემოსავლების გეგმის ფაქტიურმა შესრულებამ 39506 ლარი შეადგინა (დანართი N7). საკუთარი სახსრების ნაშთებისა და მოძრაობის შესახებ მონაცემები მოცემულია დანართში N8.

თანახმად არსებული კანონმდებლობისა (საგადასახადო კოდექსის მე–9 მუხლი) სკოლა გადასახადის გადამხდელია, საკუთარი შემოსავლების ხვედრითი წილის შესაბამისად საერთო შემოსავლებში (საგადასახადო კოდექსის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი). აუდიტმა მოახდინა საანგარიშო პერიოდის ქონებისა და მიწის გადასახადების გაანგარიშება.

გაანგარიშებული იქნა 2021 წლის ეკონომიკური შემოსავლების ხვედრითი წილი საერთო შემოსავლებში რომელმაც 11,96% შეადგინა (საკუთარი შემოსავლები-20459 ლარი გავყოთ მთლიან შემოსავლებზე ანუ 20459+150556=171015). 2021წლის ძირითადი ქონების საშუალო წლიური ნარჩენი ღირებულება შეადგენს 75030 ლარს, რომელიც შეესაბამება სკოლის მთლიან ფართს - 2392 კვ.მ.-ს. მაგრამ ვინაიდან აღნიშნული ფართიდან სკოლის განკარგულებაში 2021 წლისათვის დარჩენილი იყო 1090,86 კვ.მ, ამ ფართის ღირებულება იქნება 34217 ლარი (75030:2392x1090,86) და სკოლის ქონების გადასახადი იქნება 40,93 ლარი (34217x1%x11,96%) დანართი N9.

2021 წლის მიწის გადასახადმა 142,13 ლარი შეადგინა (3301x0,24x1,5x11,96%), სადაც 3301 მიწის ნაკვეთის ფართობია საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, 0,24 მიწის გადასახადის საერთო რესპუბლიკური კოეფიციენტია, 1,5 - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მუდმივი კოეფიციენტია, ხოლო 11,96 კი საკუთარი შემოსავლების ხვედრითი წილია მთლიან შემოსავლებში (დანართი N10).

უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ქონებისა და მიწის გადასახადები არაა გადახდილი ბიუჯეტში და არც შესაბამისი დეკლარაციები არაა წარდგენილი შემოსავლების სამსახურში.

2022 წლის საკუთარი შემოსავლების ხვედრითი წილი საერთო შემოსავლებში 7,94%-ს შეადგენს. გაანგარიშებული იქნა სკოლის განკარგულებაში დარჩენილი შენობის ფართის საშუალო ნარჩენი ღირებულება და იგი შეადგენს 33806 ლარს. სკოლის გადასახდელი ქონების გადასახადი კი შეადგენს 26,84 ლარს (33806x1%x7,94%) დანართი N11.

მიწის გადასახადმა კი 94,36 ლარი შეადგინა (3301x0,24x1,5x7,94%) დანართიN12.

სკოლას არც 2022 წელს აქვს გადახდილი მიწისა და ქონების გადასახადები ბიუჯეტში და არც შესაბამისი დეკლარაციები არაა წარდგენილი შემოსავლების სამსახურში.

გადამოწმებული იქნა საანგარიშო პერიოდში ხელფასებიდან საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშების, ბიუჯეტში თავისდროული ჩარიცხვისა და შემოსავლების სამსახურში საშემოსავლოს დეკლარაციების წარდგენის საკითხები.

2021 წელს სკოლის თანამშრომლებზე (იგულისხმება მასწავლებლები, ტექპერსონალი და ხელშეკრულებით მომუშავე ერთი მუშაკი) დარიცხულია ხელფასი 166627,94 ლარი, რომელზედაც დაკავებულია და ჩარიცხულია ბიუჯეტში საშემოსავლოს სახით 33218,38 ლარი, თუმცა შემოსავლების სამსახურში ყოველთვიური დეკლარაციები არაა წარდგენილი (დანართი N13).

2022 წელს სკოლის თანამშრომლებზე დარიცხულმა ხელფასმა 204670,13 ლარი შეადგინა. საშემოსავლო გადასახადი თანხით 40788,39 ლარი ჩარიცხულია ბიუჯეტში თავისდროულად, მაგრამ შემოსავლების სამსახურში არაა გადაგზავნილი შესაბამისი დეკლარაციები (დანართი N14).

ხელფასების დარიცხვის დროს გამოყენებულია სკოლის დირექტორის ბრძანებები თანამშრომელთა მიღების, გათავისუფლებისა და გადაადგილების შესახებ, დამტკიცებული შტატებისა და თანამდებობრივი სარგოების შესაბამისად.

რაც შეეხება თანამშრომელთა მატერიალური წახალისების საკითხს, ფულადი ჯილდოს სახით საახალწლო პრემიები გაცემულია როგორც 2021 წლის, ასევე 2022 წლის ბოლოს. უფრო კონკრეტულად: სკოლის 2021 წლის 27 დეკემბრის N 16 ადგილობრივი ბრძანების საფუძველზე, რომელიც გამომდინარეობდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 24 დეკემბრის N05-22235860 წერილიდან, სკოლას პრემიის გასაცემად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოეყო 9400 ლარი, საიდანაც ათვისებულია 9397 ლარი. 2022 წლის ბოლოს სკოლას საახალწლო ჯილდოს დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან გამოეყო 4606 ლარი (მერის 2022 წლის 23 დეკემბრის N05-222235765 წერილი), ხოლო დანარჩენი 3700 ლარი გამოიყო შრომის ანაზღაურების მუხლიდან. ჯამში ფულადი ჯილდოსათვის გამოყოფილი იქნა 8306 ლარი, საიდანაც ათვისებული იქნა 8294 ლარი.

ძირითად აქტივებზე ცვეთა დარიცხულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად, ყველა სახის აქტივებზე შესაბამისი კოეფიციენტების მიხედვით.

სკოლაში მატერიალური აქტივების ბოლო ინვენტარიზაცია ჩატარებულია 2022 წლის დეკემბერში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად. სხვაობა საბუღალტრო მონაცემებსა და ფაქტიურად ინვენტარიზაციის შედეგად არსებულ მონაცემებს შორის არ გამოვლენილა, გარდა ერთი შემთხვევისა, კერძოდ: როიალი საინვენტარიზაციო ნომრით N162, ნარჩენი ღირებულებით 164 ლარი, თანახმად საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 28 თებერვლის Nას-1488-2018 განჩინებისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 17 თებერვლის N22-22220484 თანხმობის წერილისა მოიხსნა სკოლის ბალანსიდან და გადაეცა კერძო პიროვნებას.

V. <u>რეკომენდაციები</u>

- სასწრაფოდ არის შესასრულებელი წინა აუდიტის დროს გაცემული შეუსრულებელი რეკომენდაციები.

- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მოკვლეული უნდა იქნას მინიმუმ 3 პოტენციური მომწოდებლის მონაცემები.

- მეტი ყურადღება დაეთმოს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებაზე დადებული ხელშეკრულებების ნომრების მინიჭების საკითხს.

- წარსადგენია შემოსავლების სამსახურში 2021 და 2022 წლების საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციები თვეების მიხედვით.

- გადასახდელია ბიუჯეტში 2021 და 2022 წლების მიწისა და ქონების გადასახადი და წარსადგენია შესაბამისი წლიური დეკლარაციები შემოსავლების სამსახურში.

- სკოლის ხელმძღვანელობამ არ დაუშვას მასწავლებლების მიერ სწავლის საფასურის აღების ფაქტები. დირექციის მიერ გაფრთხილებული იქნას ყველა მოსწავლის მშობელი, რათა მათ თავად უზრუნველყონ სწავლის საფასურის თავისდროული და სრული შეტანა საბანკო დაწესებულებებში.

შიდა აუდიტის პერიოდში, სკოლის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირები არიან:

ა.(ა).ი.პ. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ელდარ შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლის" დირექტორი სერგო მელქაძე, სკოლის მთავარი ბუღალტერი ნაირა სულაბერიძე.

დანართი 14 ფურცელი.

აუდიტორთა ჯგუფი:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტისა და მონიტორინგის
სამსახურის მესამე რანგის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი — მ. კურცხალია

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტისა და მონიტორინგის
სამსახურის მესამე რანგის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი — მ. ბრეგვაძე

აუდიტორულ ანგარიშს გავეცანი და ვეთანხმები:

ა.(ა).ი.პ. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
ელდარ შალამბერიძის სახელობის ხელოვნების
სკოლის" დირექტორი — ს. მელქაძე

მთავარი ბუღალტერი — ნ. სულაბერიძე